1935

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

N 7
19 სახელობაი 35

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

№ 7

ივლისი, 1935 წ.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი

მისამართი: კიროვის ქ. № 7

შინაარსი

1. ჩემს დას ტატიანას (ლექსი) — გიორგი კაჭახიძისა 1
2. გივის სიზმარი (მოთხრობა) — ქსენია სიხარულიძისა 1
3. ჩემი მეზობლები — მარია და დარია (ლექსი) — ი. გრიშაშვილისა 3
4. რეზო (მოთხრობა) — ლავრ. ჭიჭინაძისა 3
5. სურათები (ლექსი) — დ. ბერიკაშვილისა 4
6. მინდა დიდი გავხდე (მოთხრობა) — ნ. ტყეშელაშვილისა 5
7. გაზაფხულის დილა (ლექსი) — ა. ნიორაძისა 5
8. ჯილდა (მოთხრობა) — რეზიკოსი 6
9. იათამზეს მნახველები (ლექსი) — ი. ჭარელიშვილისა 8
10. ტბა (მოთხრობა) — თ. ჩერქეზიშვილისა 8
11. ყვავი და იადონი (მოთხრობა) — მ. სიბირიაკისა (თარგ. შ. გაფრინდაშვილისა) . . 9
12. ჩვენი ქუჩა (ლექსი) — ნიკ. შველიძისა 14
13. წიგნზე გამარჯვებულნი (მოთხრობა) — მ. გიგაურისა 14
14. პიონერთა ბანაკობა — ლ. ს-ლისა 16

ბავშვთა შემოქმედება

15. გაზაფხული (ლექსი) — ლ. ტაბუცაძისა 16
16. შიო მღვიმელს (ლექსი) — პ. მარიშვილისა 16
17. მელა (ლექსი) — კ. სუფსისპირელისა 16
18. გამომგონებელი
19. გამოცანები — კ. თევზაძისა

ყდა და ილუსტრაციები მ. თარიშვილისა

სარედაქციო კოლეგია: ლ. გასვიანი, აკ. რეხვიაშვილი (პ/მ. რედ. მაგიერი), ან. ღვინიაშვილი, ლ. საგანტარაშვილი, შ. თაბუკაშვილი, ცქვიტი, ლავრ. ჭიჭინაძე (პ/მ. მდივანი).

შეკვ. № 568, მთ. № ბ-18, ტირაჟი 10250, სახ. მე-3 სტამბა, წერეთლის ქ. № 3/5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს დას ტატიანას

ბარათები სუფთა, ნაზი
ხშირად მომდის, დაო, შენგან;
არ მივიწყებ, და ჩემს გულში
ხალისი და სითბო შეგაქვს.
ხან მაცინებ, ხან წიგნებს მთხოვ,
ხან მაჯავრებ, მკიცხავ ნელა...
მაინც, გოგოვ, დის სიტყვები
ძვირფასია ჩემთვის ყველა.
დიდი გახდი, დაგვიქალდი,
დინჯად გავლა უკვე გშვენის.
არ ცუღლუტობ, და მახარებს
მოქცევა და აზრი შენი!
მუყაითმა შინ და გარეთ,
შეუმჩატე ტვირთი დედას.
ახლა თამაშს ადრინდულად
გიჟი ფისო ვერ გიბედავს.
თურმე ჯავრობს, ხმას ვერა გცემს
და ეზოში ჩუმად დადის...
ნეტავ, ერთი დამანახა
მარტოობა ცელქი კატის!
ზაფხულია. ვიცი, სოფლად
აქვთ ფრინველებს ტყეში ლხინი.
ხშირად წვიმს, და მიწა ყვავის
და მწიფდება ბალში ხილი.
პატარები თავზე ქუდად
იხურავენ ფოთლებს ნაზებს,
ბურთაობენ, იცინიან
და მღერიან მერცხლის ხმაზე.
აქ სიცხეა... მომენატრა:
გრილი ჩერო, სიო წყნარი.
მომენატრა: თბილი მჭადი,
თიხის კეცზე გამომცხვარი.
ხშირად ვფიქრობ, ხშირად ვამბობ:
ფრთებს გავშლი და სოფელს ვნახავ...
ალბათ, გოგოვ, მალე მოვალ
და მოგიტან წიგნებს ახალს.
ბავშვის გულით ფეხს დავადგამ
ფართო მინდვრებს კალმით ნახატს,
შევალ ტყეში და მუხებზე
ფრინველების ბუდეს ვნახავ.
მდინარეზე ბადეს გავშლი,
ალარ მივსცემ თევზებს საშველს.
ჩაის ბუჩქის ტოტს დავარხევ
და ფოთლებთან ვითამაშებ.
წიგნებს გავშლი, ლექსსაც დავწერ,
მზეს ვუმღერებ ყოველ დილით...
ფიქრი ნუ გაქვს, მალე მოვალ
და მინდვრებში ერთად ვივლით!

გიორგი კაჭახიძე

გივის სიზმარი

გივიმ რამდენიმე დღე იავადმყოფა. ცელქსა და მოუსვენარს მობეზრდა ოთხ კედელში ყოფნა. მოენატრა საბავშვო ბაღი, მეგობრები, თამაშობა, მოენატრა ქუჩაში განავარდება. ყველაზე ძალიან „ბატიბუტი“ მოენატრა. საბავშვო ბაღიდან დაბრუნებული ხშირად ყიდულობს „ბატიბუტს“ ბებრისაგან, რომელიც ქუჩის კუთხეში ზის. ბებერი იცნობს გივის, დაინახავს თუ არა, აავსებს ჭიქას და ლურჯი ხალათის ჯიბეში ჩაუცლის. თუ გივის ფული თან არა აქვს, ნისიად იღებს; ასეთი ნდობით სარგებლობს პატარა მყიდველი „ბატიბუტის“ გამყიდველთან.

ავადმყოფობის შემდეგ გივის მისცეს თუ არა ოთახიდან გამოსვლის ნება, დედას თხოვნით მიმართა: — დედიკო, ქუჩაში წავალ!

— არ შეიძლება, გაცივდები: შეგიძლია აივანზე გახვიდე, — მიუგო დედამ.

თბილად ჩააცვა და მზიან აივანზე გავლის ნება მისცა.

გივი მესამე სართულზე ცხოვრობს. მისი ბინის აივანი ქუჩას გადაჰყურებს. აქ ხშირად იცის ჩამოვლა მისმა ნაცნობმა ბებერმა ბატიბუტიანი კალათით. იქნებ დღესაც გაუღიმოს გივის ბედმა და ჩამოიაროს! მოაჯირზე დაყრდნობილი, მოუთმენელი ლოდინით გასცქერის ქუჩას. გონებაში „ბატიბუტი“ უტრიალებს. არცერთ ხილში, არცერთ ტკბილეულში არ გაცვლის ახლა მას. სადილობის დრო მოაწია.

— გივი, შემოდი, ისადილე! — ეძახის დედა.

— არა მშია! — ნერვიულად პასუხობს გივი. თხოვნა-მუდარით შეყავთ გივი სასადილოდ. ისადილა და ისევ აივანზე გაიჭრა. გაფაციცებით ადევნებს თვალს გამვლელებს. ბებერი არ ჩანს. თითქოს ჯიბრში ჩაუდგა გივის. ლოდინში გავიდა დღე. დაბინდდა. ისევ მუდარით შემოყავთ გივი სახლში. მის სახეზე უკმაყოფილებაა.

— შვილო, ისევ ავად ხომ არა ხარ? — ეკითხება შეშინებული დედა და იღლიაში თერმომეტრს უკეთებს. სიცხე არა აქვს.

— რა მოგივიდა, შვილო?

გივი არ ამბობს უკმაყოფილების მიზეზს. რვა საათზე გივის ჩაი დაალევინეს და ჩააწვინეს. რამდენიმე წუთის შემდეგ მშვიდი სუნთქვა ისმოდა.

— საბრალო ბავშვი, მთელი დღე აივანზე გაატარა, მობეზრდა სახლში ყოფნა, — ეუბნება სამუშაოდან დაბრუნებულ გივის მამას დედა.

მამა ღიმილით დააცქერდა მძინარე ბავშვს. ჩაის შემდეგ უფროსებიც მოსვენებას მიეცენ. ოთახს ღამის სანათური მკრთალად ანათებს. გივის ლოგინი დედის ლოგინთან დგას. ძილში გივი შეიშმუშნა. სიზმარს ხედავს: აივანზე დგას. ელოდება ბებერს ბატიბუტიანი კალათით. საღამოვდება. ქუჩაში სინათლე კაშკაშებს. გივის მოთმინება ეკარგება, მაგრამ აი, ქუჩის კუთხეში ნაცნობ ბებერს მოჰკრა თვალი და გახარებულმა მთელი თავისი ძალღონით დაიყვირა: „ბატიბუტი!“ ძახილზე მშობლებს გაეღვიძათ. ლოგინში წამომჯდარი გივი თვალებს იფშვნეტდა. ვერ გაერკვია სად იყო. მიიხედ-მოიხედა, მშობლები დაინახა. ხედავს: ოთახში არც ბებერია და არც ბატიბუტი. ესმის სიცილი. მიხვდა, რომ სიზმარი ნახა. შერცხვა, მაგრამ არ შეიმჩნია. მოიხვია საბანი და ბალიშში ჩაიმალა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ტკბილად ჩაეძინა.

მეორე დილით სიცილით იგონებდენ გივის სიზმარს.

ქსენია სიხარულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მეზობლები—მარია და დარია

ბავშვების გულისათვის
წაიჩხუბნენ დედები:
— თვალიმც გამოგხეთქია,
რომ კიდევაც მედრები?!

ბავშვების გულისათვის
წაიჩხუბნენ დედები:
— ქოფაკივით ლაქლაქებ,
აქეთ-იქით ედები.

ბავშვები კვლავ შერიგდენ,
ერთად იწყეს ცელქობა,
გუშინდელი ამბავი
აღარ ახსოვთ, ეტყობა.
მაგრამ მათი მშობლები—
მარია და დარია —
ხმას არ სცემენ ერთმანეთს,
დღესაც მწყრალად არიან.

იოსებ გრიშაშვილი

რ ე ზ ო

ლია ფანჯრები ნელა ქანაობს, ნელი სიო ეთამაშება, იჭრება ოთახში და ლოგინში ჩაწოლილ რეზოს ქუჩუჩა თმას საამურად ფურჩქნის, თითქოს დედის ალერსიანი ხელის თითებია.

რეზო ვერ ითმენს ოთახში, სკოლის ამხანაგები აგონდება, მაგრამ კარში არ უშვებენ. დედა სულ თავთან უზის, უყვება ზღაპრებს, მაგრამ მაინც ხშირად აიკვიატებს ხოლმე:

— დედიკო, ახლა აღარა მიშავს რა, ავდგები.

— არა, შვილო, დიდი სიცხე გაქვს, არ შეიძლება, — დედისაგან მუდამ ასეთი დამამშვიდებელი სიტყვები ესმის პასუხად.

ბავშვი მაღლისკენ წამოწეული მხრებით ისევ ლოგინში ეშვება. არ უნდა ლოგინი, მაგრამ რას იზამს, როცა ექიმისა და დედის რჩევა ერთნაირია.

— ამხანაგები რატომ არ მოდიან? — კითხულობს დაღლილი რეზო.

— როცა გაიგებენ, მოვლენ.

— როდისღა? როცა ავდგები?

— ალბათ არ იციან.

— როგორ არ იციან, გამოცდებზე ერთად უნდა ვყოფილიყავით.

— ჰოდა, აქ როგორღა მოვიდოდენ!

— აი რა ვუთხრა ამ ავადმყოფობას, — თანაც ამოიხვნეშა. პატარა გულ-მკერდმა ჭრელი საბანი ამოზნიქა, მერე ისევ ნელა დაეშვა. — მაშ მე იმავე კლასში უნდა დავრჩე, — და თავი გადააქნია.

დედა ისევ ჩვეულებრივი ღიმილითა და მოფერებით ამშვიდებს. მისი მოღიმარი სახე ავადმყოფი ბავშვის გულის მალამოა.

. . .

რეზოს აღარ აქვს სიცხე, მაგრამ თავს კი უფრო ძაბუნად გრძნობს. კარში აღარ იწევს. მეორე ხუთშაბათია ლოგინში წევს, ჯავრობს ძალიან, გამოცდები უმისოდ

რომ თავდება. მთელ ღამეებს უძილოდ ატარებს. ყოველ განთიადს თვალდაჭყეტილი ხვდება.

. . .

რიჟრაჟია.

დღე და ღამე იყრება.

რეზოს ოთახის ფანჯრებიდან მოჩანს მაღალი ხეები. თითქოს ცის თაღზეა დახატული მათი ფართოდ გაშლილი ტოტები.

ჩიტებსაც ადრე გაუღვიძიათ.

ისინი ხმაშეწყობილად ჭიკჭიკებენ, თითქოს რეზოს უმღერიან.

ჩიტებმა მზის ამოსვლამდის იმღერეს. მზე რომ ამოვიდა, შეწყდა ბავშვის ხმა. სადღაც დაიმალნენ.

. . .

ნაშუადღევს რეზოს ოთახში ბავშვების ხმა შემოიჭრა. ისინი ხმაზე იცნო: მისი სკოლის ამხანაგებია. სიხარულით წამოიმართა და ლოგინში დაჯდა.

ბავშვები ოთახში შეიქრიალდენ, რეზო მოიკითხეს... სიხარულით ელაპარაკებოდენ ერთმანეთს.

— რეზო, კარგად გახდები, ნუ გეშინია, სკოლაშიც კარგად არის შენი საქმე. გიშველია მთელი წლის კარგმა ნიშნებმა, გადაყვანილი ხარ! — უამბო ერთმა ამხანაგმა.

რეზოს სახე გაუბრწყინდა. სიხარული თვალებში აუთამაშდა. მისი სველი თვალები უცნაურად აციმციმდა, მერე ხმამაღლა წამოიძახა:

— უჰ, რა კარგია, ძასწავლებლებს რომ ვახსოვარ!

ლავრ. ჭიჭინაძე

სურათები

მზემ დააცხუნა მიწას,
აღარ სისინებს ქარი,
და გაზაფხულმაც უკვე
შემოამტვრია კარი.

თოვლი არ არის ბარში,
დღემ შეიცვალა ფერი,
გადახნულია ბევრგან
კოლმეურნეთა ველი.

შეხედეთ, აგერ ფარცხი
კბილით აქუჩებს კლერტებს,
ტრაქტორს არა აქვს მარცხი,
ხნავს და აბრუნებს ბელტებს.

იღვიძებს, იფურჩქნება
ყველა ხეხილი ბაღში,
ერთგულად მუშაობენ
კოლმეურნენი ზვარში.

მზემ დააცხუნა მიწას,
აღარ სისინებს ქარი,
და გაზაფხულმაც ზამთრის
შემოამტვრია კარი...

დავით ბერიკაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდა დიდი გავხდე

პატარა ვანოს, წითელარმიელის შვილს, ძალიან მოსწონს, მის მამას ამხანაგები როგორ აძლევენ სალამს. ფიქრობს: როგორ მოიქცეს, რომ მასაც იმისთანა სალამი მისცენ? დგას დაღონებული კარებთან. უცებ რაღაც აზრმა გაუელვა თავში, გამხიარულდა. ამ დროს მამაც დაბრუნდა შინ. პატარა ვანო მამას მივარდა:

— მამილო, ჩემო მამილო, მინდა დიდი გავხდე!

— შვილო, გაიზრდები და დიდი იქნები...

— არა, მე ახლა მინდა დიდი გავხდე!

— შვილო, მე არ ვიცი ამის წამალი, — ეცინება მამას, — და თუ იცი, თქვი.

— აი, მამა, დედამ შემიკეროს ჩარლსტონი და დიდი გავხდები. ყველა ძია, რომლებიც შენთან მოდიან, სალამს მომცემს! — თავმომწონედ დაათავა ვანომ.

— კარგი, შვილო, კარგი! აი დედაც მოდის. მე თანახმა ვარ დედამ შეგიკეროს ჩარლსტონი.

მამამ გადასცა თავის მეუღლეს ვანოს სურილი. დედა დაეთანხმა.

ვანო გამხიარულდა: დარბის, ხტის, იცინის. მთელი დღე იცელქა, მოიღალა და ადრე დაეძინა.

ხედავს ვანო სიზმარში, რომ ის ჩარლსტონში გამოწყობილა, ყელზე წითელი ყელსახვევი გაუკეთებია. დგას თავისუფლების მოედანზე, მაღლა, ესტრადაზე, მამასთან ერთად. მის წინ ჩაიარეს წითელი დროშებით, ლენინისა და სტალინის სურათებით, სიმღერითა და მუსიკით.

მოდიან პიონერები, კომკავშირელები, შემდეგ ჯარის ნაწილები... რა ლამაზად არიან ჩაცმული! მაგრამ ყველაზე უფრო მოსწონს ცხენოსანი ჯარი... როგორ ბრწყინავენ, რა მწყობრად მოდიან!..

ყველამ სალამი მისცა მას, როგორც მის მამას. საზღვარი არა აქვს მის სიხარულს. მამამ წასჩურჩულა: შენ საპასუხო სალამი მიეცით. ისე, ისე გატაცებული იყო, რომ ეს დაავიწყდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სამხედრო სალამის მისაცემად ასწია ხელი და სიზმარში მყოფმა დედას ცხვირში ამოჰკრა.

ნინო ტყეშელაშვილი

გაზაფხულის დილა

ვიშ, რა შვენის მიდამოს
გიჟი სიოს შრიალი,
თვალჟუჟუნა ყვავილებს
ნამის ნაზი ციალი!
მხურვალე მზეს ამოსვლა
მთების ნაპრალებიდან,
ღელეს კლდეზე ჩუხჩუხი
გამოქცეულს მთებიდან,

ტრაქტორებს კი გუგუნით
ბელტის გადმოგორება,
ბაბუს — ცქერა, ღიმილი
და ჩიბუხის ბოლება,
რა კარგი ხარ, ლამაზი,
გაზაფხულის ბუნებავ,
დილა ტკბილი ალერსით
გეტრფის, გესალბუნება!

ავთანდილ ნიორაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯილდა

I

ჭკვიანი ძაღლი იყო ჯილდა. პატრონს ის ძალიან უყვარდა. ცირკში ართობდა ხალხს, ათასნაირ ნომერს აკეთებდა.

ცირკი გაჭედილია. ახლა ჯილდას რიგია, ის უნდა გამოვიდეს. ბავშვები ტაშს უკრავენ.

უკანა თათებზე შედგა ჯილდა და გამოვიდა ცირკის ასპარეზზე. ჯამბაზმა სალტე მიუშვირა. ისკუპა ჯილდამ და გახტა სალტეში. შემდეგ ბურთი გადაუგდეს. ჯილდამ აჰკრა ცხვირი და ასე რამდენჯერმე ააბურთავა.

ბავშვები სიცილით კვდებოდენ...

აი, გამოიტანეს ლანგარი, რომელზედაც ორი ბოთლი და პატარა ჭიქაა. ჯილდამ ჯამბაზს მიართვა ეს ლანგარი.

მერე რა მოხდა?

მერე ირემი გამოიყვანა ჯილდამ, წინ მიუძღოდა, ბაწარი „ხელში“ ეჭირა. ირემზე კი მამალი შესკუპულიყო.

ტაშისცემით გააცილეს ჯილდა ასპარეზიდან.

ხშირად გამოდიოდა ცირკში ჯილდა. მათი ცირკი სხვადასხვა ადგილას მოგზაურობდა. ერთ დღეს გალიაში ჩასვეს ჯილდა და საქონლის მატარებლით გაამგზავრეს. ჯილდას ჩაეძინა ვაგონების ხმაურში. გავიდა ხანი. ჯილდას ვაგონი გადაქანდა, გალიის კარი გაიღო, და ჯილდა გამოხტა. მატარებელი გაჩერდა. როდესაც ჯამბაზმა ვაგონის კარი გააღო, ჯილდა შეუმჩნევლად გაძვრა და სოფლის გზას დაადგა.

II

სოფელში შევიდა. ერთ აივანზე ქალი იდგა. ჯილდას მოშივდა. მას გაახსენდა, რომ როდესაც საჭმელი უნდოდა

უკანა თათებზე უნდა შემდგარიყო და პირი დაეღო. ახლაც ასე მოიქცა და იმ უცნობ ქალს მიაშურა. ქალი გაოცდა, მიხვდა, რომ ეს ძაღლი გაწვრთნილი იყო და აჭამა. დარჩა ჯილდა ნუცასთან. ერთხელ ნუცას ცხენი წაბლა ბალახს ძოვდა. ჯილდა გაეთამაშა მას, წინა თათებზე დადგა და კუდი შიგ ცხვირთან მიუტანა ცხენს. წაბლა დაფრთხა და წიხლი ჰკრა. საწყალი ჯილდა ღობეს მიასკდა.

ნუცას საკუჭნაოს კარი და ფანჯარა გაეღო. შეძვრა ჯილდა საკუჭნაოში, შეახტა ფანჯარას, სალტეს მიამსგავსა და შიგ გახტა.

ფანჯარასთან იდგა ყვავილიანი ქოთანი. წამოედვა ჯილდა ქოთანს, გადავარდა ქოთანი და ყურთან გაუარა ნუცას, რომელიც ფანჯრის ქვეშ იდგა. შეშინდა ნუცას, აკანკალდა: თავში რომ დამცემოდა, ხომ მომკლავდაო!

ერთხელ ნუცამ სარეცხი დარეცხა და თოკზე გაკიდა. შეხედა ჯილდამ, გაახსენდა ცირკი, გავიდა თოკზე და უკანა თათებზე შემდგარმა დაიწყო სეირნობა. სარეცხი ზოგი დაისვარა, ზოგი ძირს ჩავარდა. დაინახა ნუცამ, დაავლო ცოცხს ხელი და გამოუდგა. წინ ჯილდა და უკან ნუცა!

ნუცამ ფანჯარასთან მიაყუდა კიბე, მერე შევიდა ოთახში და სასადილო მაგიდას მიუჯდა. ნუცას ნისლა ძროხა რქენია იყო. მას აეშვა და გემრიელად შეექცეოდა მწვანე კოლინდარს. შეხედა ჯილდამ, ხედავს — თოკი მისთრევს. დაავლო თოკს კბილი, წინ გაუძღვა ძროხას, როგორც ცირკში ირემს, მაგრამ ძროხა გაუძალდა, გამოეკიდა. გარბის ჯილდა, მისდევს გაცოფებული ნისლა! შეხტა ჯილდა კიბეზე, მაგრამ კიბე დაცურდა. იმდენი იმარჯვა ძაღლმა, რომ ფანჯარას მიასკდა, იქიდან კი ზედ სასადილო მაგიდაზე მოადინა ბრაგვანი. გადაბრუნდა მაგიდა, ნუცას გადაესხა ცხელი ლობიო, შეიქნა ერთი წივილ-კივილი...

შეშინებული ნუცა ძლივს დააწყნარეს მეზობლებმა. სახეზე ფერი აღარ ედვა.

გაბრაზდა დიასახლისი, დაბა ჯილდა...



სამი დღის შემდეგ ჯილდა ისევ ცირკის ასპარეზზე იყო და ირემს დაუძღოდა წინ.არა, ჯილდა ცირკიდან აღარ გაიპარება!

რეზიკო.

იათამზეს მნახველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგერ უკვე ხუთი დღეა
იათამზე წევს და გმინავს,
ბორგავს, კვნესის, სიცხეშია,
მოუსვენრობს, არა სძინავს.
ძირს ჯავრიაც მოწყენილა,
გრძნობს: ავად ჰყავს მეგობარი...
ძველებურად თავის ლეკვებს
არ ართობს და არ დაჰხარის.
ბიჭის ნახვის სურვილი კლავს,
დღე დღეს მისდევს ასე ჯავრით,
აგერ კიდეც მან ლეკვებით
შემოალო სახლის კარი.
მივიდა და მიუცუცქდა
ავადმყოფის საწოლს გულით...
ეს ჯავრია გაზრდილია
იათამზეს რძით და პურით.

კუდს აქანებს აქეთ-იქით,
თათით საბანს ეჭიდება,
პირფუნთუშა ლეკვი დედას
ყეფით კუდზე ეკიდება.
გაეღვიძა იათამზეს,
დაინახა მეგობრები,
მხიარულად გადახედა,
აუტოკდა გული შვებით.
— ჩემო კარგო საყვარლებო,
მომიხვედით სანახავად?!
რატომ თქვენთან არ ვცქრიალებ,
რატომა ვარ ახლა ავად?!
აჰა, შუქურ, აჰა, ჯავრი,
გაისველეთ ამით ყელი, —
ძაღლს ჩიჩია შესთავაზა
და შუქურას თეთრი ყველი...

იოსებ ჭარელიშვილი

ტ ბ ა

მზე ამოდიოდა. ტბა ცელქი ნიავისაგან ირხეოდა. მზეს, რომელიც მას ლამაზი კაბით რთავდა, თავს უკრავდა, ტალღებს ათამაშებდა. ტბა მზეს შესცინოდა, რომელიც მის კამკამა წყალში იხედებოდა და ამბობდა:

— რა ლამაზი ვარ! ქვეყანას ვანათებ და ვახალისებ! უჩემოდ რა საშინელება იქნებოდა! მაშინ ხომ ყველაფერი მოლუშული, ჩაბნელებული და ცივი იქნებოდა!

ასე ამბობდა მზე და თან ილიმებოდა. მისი ღიმილის ოქროსფერი სხივები ირგვლივ ყველაფერს ეხვეოდა.

გავიდა დრო. მზე ცაზე გასწორდა, გაიმართა.

ტბასაც თითქოს მოსწყინდა ერთ ადგილას ქანაობა. დააპირა გადმოსვლა აკვნის მსგავს ლელით დაფარულ კალაპოტიდან. სცადა. ლელმა არ გაუშვა. ტბა დაღონდა. მისი პატარა ტალღების თამაში და გორაობა შეჩერდა. დაწყნარდა. სარკესავით გადიტკიცა. ფიქრში გაერთო: წარმოიდგინა, თითქოს თვალუწვდენელ მინდორში გადასულიყო, ხუჭუჭა ტყესთან ახლო მიჭრილიყო. დიდ ხეებს ებაასებოდა. ასეთი ოცნებით გატაცებულმა ერთი კიდევ ამოიწია აკვანში ჩაკრული ბავშვივით, მაგრამ კალაპოტიდან ვერ გადმოვიდა. დაძმარებული ისევ შეჩერდა, თავის დონეზე დადგა.

ამ დროს ტბის საყვარელი იხვები წამოიშალნენ, ჰაერში შესრიალდენ. ლელი აშიშინდა. ტბა სულ გაინაბა, რადგან ჰაერი ელურტულა ბავშვების სიმღერამ გაკაწრა. ლაღად გაშლილი ბავშვები ტბას გარს უვლიდენ, ლელს აშრიალებდენ, ტბის თეთრ მარილს კრეფდენ. ტბა მორიდებული ბავშვივით გამოიყურებოდა. ბავშვებთან ლაპარაკი რომ არ შეეძლო, დუნდებოდა თითქოს.

მზე ჩაესვენა და ტბას ოქროს კაბა გახადა.

დაღონდა ტბა.

დაღამდა. პატარა ასკილის ახლადგაშლილ თეთრ სურნელოვან ყვავილებს შორის ბულბული ჩაჯდა, თვალები მილულა და დასტვინა.

ტბა ყურს უგდებდა. ნაპირზე თამამად ამოსული ლელის სალამურის სტვენა ეგონა.

ბულბულის სტვენაზე გახალისდა, ოდნავ ტალღები შეანძრია. სულ დაავიწყდა, რომ ოქროს კაბა მზემ წაიღო. სევდა გადაიყარა და ბულბულის ტკბილ სტვენაზე და საღამოს ნიავის რხევაზე ბავშვივით წყნარად ჩაეძინა.

თამარ ჩერქეზიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავი და იაღონი

(მამინ—სიბირიაკისა)

ლობესთან ამოსულ მაღალ ხეზე იჯდა ყვავი და ნისკარტს იწმენდდა. გაიწმინდა ნისკარტი. ასწია თავი და თავისი „საამური“ ხმით „ყვაყვა!“ შემოსძახა.

— ეშმაკმა წაგიღოს, შე შავთავა! ძილსაც აღარ მაცლი!—ბრაზობდა ციცუნია, რომელსაც ლობეზე ეძინა და ყვავის ჩხავილით შემკრთალი კინაღამ ძირს ჩამოვარდა.—რა გაჩხავლებს, რა დაგემართა?“

— დამეხსენ, ვერა ხედავ, რომ არ მცალია? მოსვენება არა მაქვს! ყვა-ყვა! ყვაყვა!

— მოიქანცა საწყალი!—დაცინვით ჩაიფრუტუნა ციცუნიამ.

— გაჩუმდი, შე ზარმაცო! შენ მანდ ლობეზე გძინავს და მზეს მიფიცხებიხარ, მე კი დილიდან მოსვენება არა მაქვს: ათიოდე სახლის ბანზე ჩამოვჯექი, ნახევარი ქალაქი შემოვიფრინე, ყველა კუთხე და შესახვევი დავათვალიერე. აწ უნდა სამრეკლოზე ავფრინდე. მერე კი ბოსტნებში რაიმეს მოვჩიჩქნი... შენთან ბაასში დროს ტყუილად ვკარგავ, არა მცალია, დობილო, არა!

უკანასკნელად კიდევ დაიძახა „ყვა-ყვა“ და ის იყო აფრინდა, რომ დაინახა მომფრინავი ბეღურების გუნდი, რომელიც ერთ ყვითელ ჩიტს მოსდევდა.

— ძმებო, დაიჭირეთ, არ გაუშვათ!—წიოდენ ბეღურები.

— რა ამბავია, საით?—შეეკითხა ყვავი და ბეღურების გუნდს ფრთის რამდენიმე მოქნევით თავში მოექცა.

ყვითელი ფრინველი, ძალაგამოცლილი, ერთ პატარა ბალჩაში ჩაეცა და ბეღურებისაგან თავის დასაღწევად ერთ ჩირგვს მიაშურა. მაგრამ ვერ მოასწრო ბუჩქის ქვეშ შეძრომა, რომ ყვავი მასთან გაჩნდა და საწყალ ფრინველს თავზე დასჩხავლა:

— ვინა ხარ?!

ფრთებმოკუმშული ბეღურები ქვებივით დაეშვენ ბუჩქზე და ისე დაფარეს იგი, რომ ფოთოლიც არა ჩანდა. ისინი მიიწევდენ ყვითელი ფრინველისაკენ, უნდოდათ მისი დაკორტნა.

— რას ერჩით, რატომ მოსდევდით?—შეეკითხა ყვავი ბეღურებს, რადგან შეხედა, რომ ყვითელი ფრინველი დაღლილობისაგან ხმას ვერ იღებდა.

— როგორ თუ რას ვერჩით, მაშ რატომ არის იგი ყვითელი?—დაიწრიპინეს ერთხმად ბეღურებმა.

ყვავმა ახედ-დახედა და გაიფიქრა: „მართლაც მთლად ყვითელია“.

— თქვე თავხედებო!—დასჭყივლა ყვავმა ბეღურებს,—ვერა ხედავთ, რომ ეს ფრინველი არაა? განა ასეთი ფრინველები არსებობენ? აბა ახლა მოუსვით აქედან! მე უნდა მოველაპარაკო ამ ყვითელ საკვირველებას. იგი ფრინველი არ არის, მხოლოდ, ფრინველი ვარო, იჩემებს!

ბეღურები გაბრაზდენ, აწივწივდენ, აჟივჟივდენ, მაგრამ ყვავთან აბა რას გახდებოდენ, იძულებული შეიქნენ აბარგულიყვნენ იქიდან.

გარეკა-რა ბელურები. ყვავმა, დაუწყო ყურადღებით დათვალიერება პატარა ყვითელ ფრინველს, რომელიც მძიმედ სუნთქავდა და შესაბრალისად შემოსცქეროდა თავისი შავი, პაწაწკინტელა თვალებით.

— ვინ ხარ შენ, ასეთი საკვირველი არსება? — ჰკითხა ყვავმა.

— მე... იადონი მქვია.

— აბა, ნუ მატყუებ, თორემ ცუდი დღე დაგადგება! რომ მე არა, ბელურები ცოცხალს არ გაგიშვებდენ!

— არ გატყუებ, მე იადონი ვარ!

— საიდან მოხვედი?

— მე გალიაში ვცხოვრობდი... იქ დავიბადე და გავიზარდე. მე მუდამ მსურდა მეფრინა თავისუფლად, ისე, როგორც ფრენდენ სხვა ფრინველები. სხვები მხიარულობდენ, გალიაში კი მოწყენილობა იყო. დღეს პატარა ლენამ, ჩემი პატრონის ქალიშვილმა, მოპიტანა ფინჯნით წყალი. გააღო თუ არა გალიის კარი, იმწამსვე გარეთ გამოვფრინდი. დავიწყე ფრენა ოთახში, მერე ფანჯრიდან გარეთ, მინდორში გამოვფრინდი, სადაც ამ ბელურებს წავაწყდი.

— გალიაში რას აკეთებდი?

— მე კარგი ხმა მაქვს... ვგალობდი.

— აბა, იმღერე, ერთი.

იადონმა იმღერა. ყვავმა თავი გვერდზე გადიგდო და გაკვირვებით უთხრა:

— ამას ეძახი შენ სიმღერას? ხა-ხა! ხა-ხა! სულელები ყოფილან შენი პატრონები, თუ ასეთი სიმღერისათვის გკვებავდენ! თუკი უნდოდათ მგალობელი ფრინველი ჰყოლოდათ, უნდა ჩემისთანა ფრინველი გამოეზარდათ. აი, მაგალითად, წელან ისე კარგად ვიმღერე, რომ გაიძვერა კატა კინალამ ღობიდან გადმოვარდა. აი სიმღერაც ამას ჰქვია! — და თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ყვავმა ისეთი „ყვა-ყვა“ დაიძახა, რომ საბრალო იადონს თავზარი დაეცა.

— მე ვიცნობ კატას, საშინელი მხეცია, რამდენჯერ მოპარულა ჩემს გალიასთან და თათებით ჩემი დაჭერა და გარეთ გამოთრევა უცდია!

— ზოგისთვის საშინელი მხეცია, ზოგისთვის კი არა. ხოლო ის, რომ გაიძვერაა, ეს კი ცხადია.... ამაზე მეძდეგ ვილაპარაკოთ; მაგრამ მე მაინც არა მჯერა, რომ შენ ნამდვილად ფრინველი ხარ.

— კი, კი, ნამდვილი ფრინველი ვარ. ყველა იადონი ფრინველია, — ეფიცებოდა იადონი.

— კარგი, კარგი... ვნახოთ. მაგრამ რით იცხოვრებ ახლა?

— მე ცოტაც მეყოფა: ცოტა ფეტვი, შაქარი და ნამცხვარი.

— იფ! როგორი ქალბატონი ბრძანდებულხარ! უშაქროდაც კარგად გაძლებ, ფეტვს კი სადმე იშოვნი. საერთოდ, მე შენ მომწონხარ. გინდა იცხოვრო ჩემს ბუდეში?

— სიამოვნებით. ხოლო ბელურები..

— შენ ჩემთან იყავი და ვერავინ გაგიბედავს თითის დაკარებას. არა მარტო ბელურებმა, არამედ იმ გაიძვერა კატამაც კი იცის, რომ მე ხუმრობა მეზარება.

იადონი სიხარულით გაფრინდა ყვავთან ერთად. ნახა ბუდე, საუცხოოა. ოღონდ ცოტა შაქარი და ნამცხვარი რომ იშოვებოდეს...

*
* *

დაიწყეს ერთ ბუდეში ტკბილად ცხოვრება ყვავმა და იადონმა. ყვავი საერთოდ არ იყო ბოროტი ფრინველი. მისი მთავარი ნაკლი მეტისმეტი შურიანობა იყო:

— რით მჯობია მე სულელი ქათამი? არაფრით. იმას კი ჰკვებავენ, უვლიან, ეფერებიან, — შესჩიოდა ყვავი იადონს. — ანდა თუნდაც მტრედები ავიღოთ... რა სასარგებლოა ისინი, მაგრამ ფანჯრებიდან მაინც ბღუჯით უყრიან საკენკს. მე რომ მივიდე და კენკვა დავუწყო, — ყველა გამომედევნება დასაფრთხობად. განა ეს სამართალია? ყველა მიჯავრდება და მეძახის; „აი შე ყვაოო!“ შენც კი შეამჩნევდი, რომ მე სხვა ფრინ-

ველებზე უკეთესი ვარ და ლამაზი, განა ეს მართალი არაა?

— დიაღ, შენ დიდი ფრინველი ხარ! — ეთანხმებოდა იადონი.

— ჰყავთ თუთიყუშები და კაჭკაჭები გალიაში და უვლიან მათ, — განაგრძობდა ყვავი. — რით მჯობნის თუთიყუში მე? საშინელი ფრინველია, მეტი არაფერი! იცის მხოლოდ ყვირილი და ბურდღუნი. რას ბურდღულობს, იმას კი ვერავინ გაიგებს. სწორია ხომ?

— დიაღ, სწორი გახლავსთ! ჩვენთანაც ჰყავდათ თუთიყუში და ყველას თავი მოაბეზრა.

— განა ცოტაა ისეთი ფრინველი, რომელიც ცხოვრობს და არავინ იცის რისთვის? შოშიები მოფრინდებიან გიჟური ჟივილ-ხივილით საიდანღაც, იცხოვრებენ ზაფხულის განმავლობაში და მერმე ისევ გაფრინდებიან. ასევეა მერცხლები, წყალწყალები და ბულბულები. ამათგან არცერთი არ არის ნამდვილი, სერიოზული ფრინველი: როგორც კი აცივდება, ყველა თბილი ქვეყნებისაკენ მიიპარება.

პირველ ხანებში ყვავმა და იადონმა ვერ გაუგეს ერთიმეორეს, ყვავს, არ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა ტყეეობაში სხვისი მოწყალებით ცხოვრება, იადონს კი თავისუფლად, საკუთარი შრომით ცხოვრება ჯერ არ ენახა.

ნუთუ შენთვის არასოდეს საკენკი არ მოუწოდებიათ? — უკვირდა იადონს. — ერთი მარცვალი მაინც?

-- როგორი სულელი ხარ! მარცვალი კი არა, ქვითა და ჯოხით მომდევდენ. ადამიანები მეტად ბოროტნი არიან.

იადონს ეს არ სჯეროდა, იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ადამიანები არ არიან ბოროტნი, რადგანაც მას ნამცხვარსა და შაქარს აჭმევდენ. მაგრამ მალე თითონვე დარწმუნდა, რომ ყვავი მართალს ამბობდა; ერთხელ ყვავი იჯდა ღობეზე. უცებ თავზე ზუზუნით გადაუარა ქვამ. ქუჩაში მოსწავლეები მიდიოდენ და ქვა იმათ ესროლათ.

— აი, ახლა შეხედე? — ჰკითხა ყვავმა იადონს და თან გულის დასამშვიდებლად სახლის სახურავზე მოფარებულ ადგილას ჩამოჯდა.

— აი ასეთები არიან ადამიანები. აღარსად შემიძლია მოსვენებით დავჯდე, ყველა მემტერება.

-- შეიძლება დაუშავე რაიმე და იმიტომ გერჩიან?

-- არა, მაინცადამაინც არაფერი დამიშავებია, მაგრამ მაინც ჩემს დანახვაზე ბრაზდებიან.

იადონს შეებრალა უბედური ყვავი, რომელიც არავის უყვარდა. ,,ამგვარად ცხოვრება როგორ შეიძლება?'' — ფიქრობდა იგი. თითონ იადონსაც მტრები საკმაოდ ჰყავდა: აი თუნდაც ციცუნია, რომელიც ნერწყვმორეული ათვალიერებდა ყველა ფრინველს, მოიგონებდა ძილს, და იადონმა საკუთარი თვალებით დაინახა, თუ როგორ დაიჭირა ერთი გამოუცდელი ბელურა და გაბდღვნა. უჰ, რა საზარელი სანახავი იყო! არა ნაკლებ საშიში იყო ქორი. იგი ფრენდა ჰაერში და ათვალიერებდა საკბილოს, რომელსაც ფრთებშეკუმშული დააცხრებოდა ქვასავით. იადონმა ერთხელ დაინახა, რომ ქორს წიწილა მიყავდა. მარტო ქორი კი არა, თურმე ყვავიც მიირთმევდა წვრილ ფრინველებს. იადონს პირველად ეს არ სჯეროდა, სანამ საკუთარი თვალით არ დაინახა და არ დარწმუნდა. ერთ საღამოს მან დაინახა, რომ ბელურების მთელი გროვა საშინელი ჟივილ-ხივილით მოსდევდა ყვავს, რომელსაც ბრჭყალებში რაღაც ეჭირა. იადონს შეეშინდა და ბუდეში ჩაიმალა.

— დატოვე, გაუშვი! — მოუსვენრად ჭყიოდენ ბელურები, — ეს ყაჩაღობაა, რასა ჰგავს ეს?

ყვავი ჩაფრინდა ბუდეში, და იადონმა შეძრწუნებით შენიშნა, რომ ყვავმა მოიტანა მკვდარი, გასისხლიანებული ბელურა.

— რას შვრებით, ეს რა არის? — შეჰყვირა იადონმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხმა ჩაიკმინდე!—თვალების ბრიალით შეუტია ყვავმა. იადონი კუთხეში მოიკუნტა და თვალები დახუჭა, რომ არ დაენახა, თუ როგორ დაუწყებდა ჭამას ყვავი უბედურ ბელურას. ,,როდესაც იქნება, იგი მეც ასევე შემჭამს'' – გაიფიქრა მან. ყვავმა ისაუზმა რა, ჩვეულებრივად კარგ ხასიათზე დადგა. გაიწმინდა ნისკარტი, მოიკალათა ბუდის გვერდით და დაიწყო თვლემა. იადონმა შენიშნა, რომ ყვავი გაუმაძღარი იყო და ამიტომ არაფერს იწუნებდა: ხან ხორცის ნაჭერს გამოჩხრეკდა სადმე, ხან პურის ნატეხს და ხან სხვადასხვა საჭმელების ნამცეცებს, რომელთაც პოულობდა სანაგვე ყუთებში. მას განსაკუთრებით ძლიერ უყვარდა სანაგვე ყუთების ქექვა, და იადონს ძლიერ უკვირდა: რა სასიამოვნო იყო სანაგვე ყუთებში ნაგვის ქექვა. მაგრამ არც მთლად გასამტყუნარი იყო ყვავი: აბა რა ექნა, რაცა ბევრი ჭამა სჭირდებოდა. იგი ოცჯერ მეტს ჭამდა, ვინემ იადონი, და ამიტომ მთელი მისი ზრუნვა მიმართული იყო საჭმლის შოვნისაკენ. ყოველდღე დაჯდებოდა სახლის სახურავზე და ათვალიერებდა საკბილოს. როდესაც ყვავს შეეზარებოდა საჭმელის შოვნა, ძალადობასაც მიმართავდა. დაინახავდა-რა, რომ ბელურები რაღაცას ჩიჩქნიდენ, თავს დააცხრებოდა, შეშინებული ბელურები აქეთ-იქეთ გაიფანტებოდენ, თვითონ კი ჭამას შეუდგებოდა.

— ეს არ არის კარგი, — არიგებდა იადონი ყვავს:—სხვისთვის საჭმელის წართმევა დანაშაულია.

— დანაშაულია? მაგრამ მე რომ მშია?

— სხვებსაც შიათ ალბათ!

— სხვები თავიანთ თავისათვის თვითონვე იზრუნებენ. მხოლოდ თქვენისთანა ნაზებს და სათუთ ჩიტებს კვებავენ გალიაში. ჩვენ კი თვითონვე უნდა ვიშოვნოთ საჭმელი. შენ გგონია ბევრი საჭმელი გჭირდებათ ან შენ, ან ბელურას?— აკენკავთ ორიოდე მარცვალს და მთელი დღე მაძღარი ხართ.

* * *

ზაფხული შეუმჩნევლად გავიდა. მზეს სითბო მოაკლდა. დღეები დაპატარავდა. დაიწყო წვიმები. დაბერა ცივმა ქარმა. იადონი თავისთავს ახლა ყველაზე უფრო უბედურ ფრინველად თვლიდა. განსაკუთრებით ცუდად გრძნობდა თავს წვიმიან დღეებში. ყვავი კი თითქოს ვერაფერს გრძნობდა.

— რად გეშინია წვიმის, იწვიმებს, იწვიმებს და ბოლოს გადიღებს, –ეუბნებოდა ყვავი იადონს.

— ოჰ, მცივა, როგორ მცივა!

განსაკუთრებით ცუდად გრძნობდა თავს იადონი ღამღამობით, იგი მთლად ცახცახებდა სიცივისაგან. ყვავი კი უჯავრდებოდა:

— ერთი ამ მცივანას დამიხედეთ! მაშინ რაღას იზამ, როდესაც სიცივეები დაიწყება და თოვლი მოვა? არა, მართალი იყვნენ ბელურები: შენ ფრინველი არ ხარ, თორემ აგრე მცივანა არ იქნებოდი. როგორი ფრინველი ხარ, თუ წვიმის და ქარის გეშინია?! წვიმისა და ქარის სუსხის გარეშე ხომ თავისუფლად ცხოვრება არ შეიძლება მინდორში!

— კი,კი, ნამდვილი ფრინველი ვარ!— ცრემლიანი თვალებით არწმუნებდა იადონი ყვავს,—მხოლოდ მცივა. რა ვქნა, სიცივეს ვერ ვიტან!

— მე კი მგონია, რომ შენ ფრინველობას იგონებ მხოლოდ.

— არა, არ ვიგონებ!

ხანდახან იადონი დაფიქრდებოდა თავის ბედზე. მგონი უკეთესი იყო გალიაში ცხოვრება. იქ ახლა სითბოც იქნებოდა და საჭმელიც. იგი რამდენიმეჯერ მიფრინდა მშობლიურ გალიასთან, სადაც უკვე ორი სხვა იადონი იჯდა და შურით შემოსცქეროდენ მას.

— ოხ, რა მცივა! — შესაბრალისად ჭიკჭიკებდა მივიწყებული იადონი. — მემიშვით სახლში!

ერთხელ დილით იადონმა გადმოიხედა ყვავის ბუდიდან და მოულოდნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანახაობისაგან გაოცდა. ღამით მიწა დაფარულიყო პირველი თოვლით. ირგვლივ ყველაფერი თეთრი იყო. თოვლმა დაფარა მარცვლები, რომლითაც იკვებებოდა იადონი. დარჩა მხოლოდ კურკანტელა, რის ჭამაც იადონს არ შეეძლო. ყვავი კი იჯდა ბუჩქზე, კენკავდა კურკანტელას და გაიძახოდა:

— ახ, რა კარგი ხილია!

იადონი მეტისმეტად შეწუხდა. ორი დღე გადიოდა, რაც არაფერი ეჭამა. „რა იქნება შემდეგ, ხომ მოვკვდი შიმშილით“—ფიქრობდა უბედური.

იჯდა იადონი და წუხდა. შეხედა—მორბინეს ბავშვებმა ბაღში, სადაც ერთხელ ქვით კინაღამ მოკლეს ყვავი. მოაყარეს მიწაზე გემრიელი სელის მარცვლები, გამართეს ბადე და გაიქცენ.

— როგორც ჩანს, ეს ყმაწვილები მთლად ბოროტი არ ყოფილან,—გაუხარდა იადონს და ყვავს მიუბრუნდა: — ხედავ? ბავშვებმა საკენკი მომიტანეს!

— საკენკი! ჰმ, კარგია საკენკი, მხოლოდ იქ მისვლაზე ფიქრსაც კი თავი დაანებე! გესმის? როგორც კი კენკვას დაიწყებ, იმწამსვე ბადეში ამოყოფ თავს!

— შემდეგ, შემდეგ რას მიზამენ?

— რასა და ხელახლად გალიაში ჩაგსვამენ, საიდანაც ძლივს დააღწიე თავი.

ჩავარდა იადონი საგონებელში. ჭამა უნდოდა, მაგრამ გალიაში მოხვედრა კი არა. მართალია, ამჟამად კიდეც სცივა და კიდეც ჰშია, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფლად ცხოვრობს. რამდენიმე დღეს შეიკავა თავი მან, მაგრამ შიმშილი ხუმრობა ხომ არაა! მიიტყუილა მარცვლებმა და... მოექცა ბადეში.

— მიშველეთ, გამიშვით! არასოდეს ვიზამ; უმჯობესია შიმშილით სიკვდილი, ვინემ გალიაში ჯდომა!

იადონს ახლა ეჩვენებოდა, რომ ყვავის ბუდეზე უკეთესი ადგილი არსად იყო. იქ, მართალია, სცივდა და ჰშიოდა კიდეც, მაგრამ სრული თავისუფალი იყო. „აი მოვლენ ყმაწვილები და ხელახლა გალიაში ჩამსვამენ“—გაიფიქრა იადონმა და დაიწყო ტირილი.

მის ბედზე ყვავი ახლოს დაფრინავდა და რა დაინახა, რომ მისი მეგობარი ბადეში მოქცეულიყო, წამსვე მიფრინდა მასთან.

— აი, შე სულელო! აკი გეუბნებოდი არ მიგიტყუილოხ, თორემ ბადეში გაგაბმენ მეთქი?

ყმაწვილები უკვე მორბოდენ ნადავლის წასაყვანად, მაგრამ ყვავმა მოასწრო ბადის გაგლეჯა და იადონის განთავისუფლება.

— ახ, რა კარგია!—ხარობდა იადონი ისევ თავის ბუდეში ჩამჯდარი.

— მაშ, მაშ, კარგია! ყვა-ყვა! — უმოწმებდა ყვავი, საკუთარი გმირობით გახარებული!

დაიწყო იადონმა ცხოვრება ისევ ყვავის ბუდეში და ამიერიდან აღარ წუხდა აღარც სიცივეზე და აღარც შიმშილზე. ერთხელ ყვავი საზრდოს საშოვნელად სადღაც გაფრინდა. ღამე მინდორში გაათინა. დილით დაბრუნდა და შეხედა: წევს გულალმა, ფეხებაფშეკილი, სიცივისაგან გაფიჩხული იადონი. ყვავმა ახედ-დახედა და წამოაყრანტალა:

— აკი ვამბობდი, ფრინველი არ არის-მეთქი!

თარგ. შოთა გაფრინდაშვილი-ს'.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქუჩა

რა მშენივრად მოიქარგა
და მოირთო ჩვენი ქუჩა,
რარიგ ამკობს ხეივანი,
ლამაზად რომ გაიფურჩქნა!

რა კარგია და რა სუფთა,
რომ ძველ ქუჩას სულაც არ გავს,
ყოველ დილით ადრე რწყავენ,
ვერსად ნახავ ჭუჭყს და ნაგავს!

სულ ალარ აქვს ძველი სახე,
მოემატა სიგრძე, განი,
და მუშების ახალ სახლებს
ამკობს მწვანე ხეივანი!

როგორ მიყვარს ეს ხეები,
ვერ ვაშორებ გრძნობით თვალებს,
მოპარული ცელქი სიო
ტყესავით რომ აშრიალებს!

და მათ შორის მშვენიერი
ასფალტია დაგებული...
რა კარგია! მიყვარს, მიყვარს!
სიხარულით მიცემს გული!

მახსოვს, წინათ ჩვენ ქუჩაზე
სახლები რომ იდგა ძველი,
წვიმის დროს კი ტალახისგან
იყო გავლა ძლიერ ძნელი.

დღეს კი სხვაა, წაიშალა,
არსად დარჩა ძველის კვალი,
ახლა ლამაზ სუფთა ქუჩით
ხარობს გული, ტკბება თვალი.

დღეს სხვარიგად მოიქარგა
და მოირთო ჩვენი ქუჩა,
ამკობს მწვანე ხეივანი,
ლამაზად რომ გაიფურჩქნა!

ნიკ. შველიძე.

წიგნზე გამარჯვებულნი

წელმა ისე გაიარა, რომ არც კი შეუმჩნევიათ ბავშვებს. შემოდგომაც იყო, ზამთარიც გაქრა, გაზაფხულმაც გაიარა და ზაფხულიც მოდის.

კიდევ რამდენიმე დღე — და დაცალიერდება სკოლის კედლები მომავალ სასწავლო წლამდის.

მიწყდება მოწაფეების ხმაური სკოლებში.

ზოგი კიდევ ზაფხულის განმავლობაშიაც ესტუმრება სკოლას, მაგრამ სკოლისთვის ეს შეუმჩნეველი იქნება, შედარებით იმ საერთო სიცოცხლესთან, რომელიც მთელი წლის განმავლობაში სუფევდა სკოლაში.

აქ მათ სწავლაში გაატარეს მთელი წელი, არ დაკლებიათ მხიარული გართობაც.

ახლა კი ტარდება მთელი წლის მუშაობის შედეგების შემოწმება.

ადრე დაიწყეს სკოლებმა გამოცდებისათვის სამზადისი. მოწაფეებიც ეხალისს იჩენდენ, რომ მომზადებულნი შეხვედროდენ გამოცდებს. ამის მაგალითებს წარმოადგენს დღევანდელი სურათი სკოლებში.

მე-2 არასრული საშუალო სკოლაც მომზადებული შეხვდა გამოცდებს. მასწავლებლებმა მოწაფეებთან ერთად ჩაატარეს მუშაობა — სამზადისი გამოცდებისათვის. გამოყოფილ იქნა ზედმეტი საათები სუსტ მოწაფეებთან სამეცადინოდ, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. მაგ. რუსულ სექტორში III კლ. მოწაფეები **ლ. დათუაშვილი, ტ. აკოფიანი** და **ლ. ეჯუბოვი** ძალიან სუსტობდენ, მაგრამ წლის განმავლობაში მათ კარგ შედეგს მიაღწიეს, გამოსწორდენ. ისინი ბუქსირზე ჰყავდა აყვანილი ამავე სკოლის საუკეთესო მოწაფეს **ლ. ბაგდინოვას.**

ქართულ სექტორში: კარგი დისციპლინა აქვთ და წარჩინებულ მოწაფეებად ითვლებიან IV კლასში **გ. დონღუზაშვილი ვ. დვალი** და **ოთ. ზარდიაშვილი.** დამკვრელი მოწაფეები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-14 საშუალო სკოლის III-კ. მოწაფეები.

რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ცდილობდენ სწავლაში წარმატებულნი ყოფილიყვნენ, არიან: **ალადაშვილი, დოლიძე, სიხარულიძე, შომახია, კუჭუაშვილი** და **რატიანი.** სუსტ მოწაფეებს ამეცადინებდეს: **ო. შომახია, ეთ. ყოჩიშვილი, რუს. თოხაძე** და **ვ. ჭანკვეტაძე.** სუსტებიც იყვნენ, მაგრამ მალე გამოსწორდენ: **ანდრონიკაშვილი, ბერიძე, მამუჩაშვილი, დვალი** და **ზარდიაშვილი.**

* * *

განა შეგიძლიათ ჩამოთვალოთ ყველა სკოლა, სადაც მთელი წლის განმავლობაში ჩქეფდა მოზარდ ენთუზიასტთა სიცოცხლე! ყველა ცდილობდა კარგი ყოფილიყო.

აი თუგინდ მე-14 საშუალო სკოლის მოწაფეები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ითვლებოდენ დამკვრელ მოწაფეებად:

I კლასი — **მ. მაჭავარიანი, ზ. კაკაბაძე, ნ. გერსამია, არჩ. ბეგიაშვილი.** გამოსწორდა სუსტი მოწაფე **ლ. გაბუნია.** „საინტერესოა **ბოკუჩავა,** — აღნიშნავს სასწავლო ნაწილის გამგე თ. გეგეჭკორი, — იგი სრულიად უცოდინარი იყო, მაგრამ წლის განმავლობაში ისეთი ბეჯითობა გამოიჩინა, რომ წარდგენილია დასაჯილდოებლად“.

II კლასში ფრიადები აქვთ: **ი. ნანეიშვილს, ლ. ლუხუტაშვილს, ტ. რიუამაძეს, თ. აგბაძეს, ტ. თოფურიძეს, გ. ბახტაძეს.**

გამოსწორდენ: **გ. ჭუბაბრია, ე. თეთრუაშვილი, თ. მამულაიშვილი, აკ. ზარდიაშვილი, მ. სააკაშვილი.**

ასეთივე მდგომარეობაა უფროს ჯგუფებში: **ზ. ახვლედიანს** ყველა საგანში ფრიადები აქვს. ამაცადინებდა ერთ მოწაფეს. ფრიადებიანმა მოწაფემ **თოფურიძემ** გამოასწორა **დათებაშვილი**

VI კლასში აღსანიშნავია **ლ. ნათაძე,** არაჩვეულებრივი წარმატებისა და იშვიათი დისციპლინის მოწაფე. დიდი წარმატების მქონე მოწაფეებია აგრეთვე: **ჭიჭინაძე** და **ლ. ჩაჩანიძე.** VII კლასში გამოირჩევიან: **ლ. გაბუნია** და **გ. ავეტისოვი.**

ეს მაგალითებიც საკმაოა, რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი ახალგაზრდობის საერთო ხალისი და ენთუზიაზმი სწავლაში გამარჯვებისა და პირველობის მოპოებისათვის.

მამია გიგაური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერთა ბანაკება

ზაფხული დაიწყო. სწავლების ნორჩ ენთუზიასტ დამკვრელებს დასასვენებლად მიუხარიათ, ყველას უნდა სუფთა ჰაერი და ბანაკებში მოწყობა. პიონერბანაკებისათვის გამოყენებულია ყველა ისეთი ადგილი, სადაც ბავშვები უფრო მეტად გაჯანსაღდებიან.

ლამაზად გაშლილი თეთრი კარვები ამშვენებს საქართველოს კურორტებს, სადაც ისმის ბანაკად გასული პიონერების ყიჟინა.

ცემი გააღვიძა პიონერების ჟრიამულმა. ცემის ბანაკს ირგვლივ ტყეები არტყია. მწვანე ფოთლებს თითქოს ორასი პიონერის ხმა აშრიალებს.

სადაც ბორჯომის ხეობა იწყება, სადაც მტკვარი თითქოს ახლად იბადება და ქართლის თვალუწვდენ ველს გაუწვება,—იქ მოწყობილია ლამაზი თეთრი კარვები. აქაც ორასი პიონერია. მაღალი მთის ძირას გაშენებულ სოფელს ყოველდღე სიხარულით ეფინება პიონერთა საყვირის ხმები.

კიდევ მრავალ ადგილას არის პიონერბანაკები: აფხაზეთში, აჭარისტანში, ქობულეთში, გორის რაიონში, სამხრეთ ოსეთში, სილნალში, ჭიათურაში, ტყიბულში, ზესტაფონში და სხვა რაიონებში.

ბანაკებში გაიგზავნენ სწავლების დამკვრელი ფრიადოსანი პიონერები, სანატორიუმებში კი ნაკლებად ჯანმრთელი პიონერები.

წელს მთელი რესპუბლიკის მაშტაბით ბანაკებში მოთავსებულია 3640 პიონერი—პირველ წყებაზე.

ლიდა საბახტარაშვილი

ბავშვთა შემოქმედება

გაზაფხული

გაზაფხულის ნიავი ქრის,
არხევს ფოთლებს ახლად გაშლილს,
და საამოდ გული უჩანთ
ვარდ-ყვავილებს დილის ცვარში.

ლუსია ტაბუცაძე,
35 სრ. საშუალო სკ. V კლასის მოწაფე.

შიო მღვიმელს

შიო ჩვენი მომღერალი,
მგოსანი და ჩვენი მამა!
იგი მოკვდა, გარდიცვალა
ჩვენ აღარ გვყავს, არა, არა!

პაშა მარიაშვილი,
35 სრ. საშუალო სკოლის V კლასის მოწაფე.

მელა

ჩვენ საქათმეს რატომ ურბეხ,
შე მსუნაგო კუდა-მელა?
ამ ღამეში აქ რა გინდა,
რომ იცოდე, როგორ ბნელა!

* * *

სჯობს, წყნარად რომ გაიპარო
და წახვიდე უკან ისევ,
თორემ, ძაღლმა თუ გაგიგო,
ტყავს გაგაძრობს, მოგტეხს კისერს.

კუკური სუფსისპირელი,
35 სრ. საშუალო სკოლის IV კლ. მოწაფე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოგონებელნი

არდადეგებზე ზოოლოგიურ ბაღში წაიყვანეს ბავშვები. ბევრი ცხოველი და ფრინველი ნახეს იქ. გაიხარეს პატარებმა.

— რას აკეთებენ, დეიდა ტასო, ეს ცხოველები?

— იკითხა ეთერიკომ.

— არაფერს.

რატომ არაფერს არ აკეთებენ. აბა უსაქმოდ უნდა იყვნ?!

— ბიჭიკო, მოდი მოვიფიქროთ, როგორ გამოვიყენოთ ეს ცხოველები...

მეორე დღეს თავის გამოგონება წარუდგინა დეიდა ტასოს ზურამ:

— აბა რა! უსაქმურად რატომ უნდა იყვენ, ფიზკულტურისათვის გამოვიყენოთ ისინი, — განაცხადა მან. დეიდა ტასო სიცილით კვდებოდა.

ფასი 75 კ.

5 2,30

ძლ. თევზაძე

ამოცანები

№ 1

24 ცალი ასანთი დაალაგეთ ისე, რომ მიიღოთ ცხრა თანასწორი კვადრატი, რომლებიც ერთად შეადგენენ ერთ კვადრატს; შემდეგ გამოაცალეთ 8 ც. ასანთი ისე, რომ დარჩეს მხოლოდ ორი კვადრატი.

№ 2



დედამ პატარა ელიკოს ნამცხვრის ერთი ასეთი ფორმის ნაჭერი მისცა და გაისტუმრა სკოლისაკენ (ნამცხვრის ფორმას მიაქციეთ ყურადღება). მაგრამ ელიკოს ორი ამხანაგი კიდევ ჰყავდა სკოლაში და საჭირო იყო სამივე პატარა მეგობარს გაეყო ერთმანეთში ეს ნამცხვარი ისე, რომ ყველას თანასწორი წილი რგებოდა. ასე გაყოფა, პირველი შეხედვით, ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ მოფიქრების შემდეგ მაინც გაყოელიკომ ნამცხვარი სამ თანასწორ ნაწილად.

აბა როგორ მოიქცა?